

სიცოცხლისათვის საშიში სამშენებლო მასალებისა და შენობა-ნაგებობების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით

გიორგი გ. თუმანიშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი, მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო), სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

გიორგი ჭიჭინაძე

სამართლის მაგისტრი

საკვანძო სიტყვები: გარემო, რადონი, აზბესტი

უძრავი ქონება იმ ქონებას განეკუთვნება, რომელშიც კაპიტალდაბანდება მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე მოცულობით კაპიტალდაბანდებად, რომელსაც ადამიანი აკეთებს საწყის ეტაპზე, ვინაიდან ის უკავშირდება გარემოს, რომელშიც მან უნდა იცხოვროს და გაატაროს თავისი ცხოვრების არცთუ ისე მცირე მონაკვეთი.

თითოეული ადამიანისათვის მნიშვნელოვანია, რომ ცხოვრობდეს/მუშაობდეს/გადაადგილდებოდეს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო (უვნებელ) გარემოში, რაც, პირველ რიგში, უკავშირდება იმ ნივთებს (ჯანმრთელობისათვის შესაძლო საფრთხის ხარისხს), რომლებიც ადამიანის

ყოველდღიურ ცხოვრებაშია. პირველ რიგში, ამ ნივთებს უნდა მივაკუთვნოთ უძრავი ქონება (საცხოვრებელი ბინა/სახლი/სამსახური), გადაადგილების საშუალებები და ყოველდღიური სარგებლობის ნივთები, მაგ: ჭურჭელი, ტანსაცმელი, ელექტროსაყოფაცხოვრებო ტექნიკა და ა.შ.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ, კონსტიტუციის 37-ე მუხლის მესამე პუნქტი ადგენს, რომ „ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და იმავდროულად ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური

ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ (ამავე მუხლის მეხუთე პუნქტი).

ადამიანი, მისი ჯანმრთელობა და უფლებათა რეალიზაცია წარმოადგენს იმ ბაზისს, რომლის გარშემოც იგება სანქსის ფილოსოფიურ-სამართლებრივი კონცეფციები და პრინციპები, ხოლო შემდგომ ამ დებულებებზე დაყრდნობით შენდება (უნდა შენდებოდეს) პოზიტიური სამართალი.

თავის მხრივ, ფილოსოფიურ-სამართლებრივი განზოგადებით, ნებისმიერი დათქმა, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანისა და მისი სიცოცხლის, როგორც უზენაესი ღირებულების კონცეფციას, უნდა გაბათილდეს, ვინაიდან იგი მიმართულია ამ ღირებულების საწინააღმდეგოდ, რომელიც განზოგადების შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ აბსოლუტში მიმართულია ადამიანის საწინააღმდეგოდ და ამ მიზნის მიღწევის შემთხვევაში არ გვეყოლება სამართლის სუბიექტი, რომლის მიერაც და ვისთვისაც შექმნილია მთელი მოქმედი პოზიტიური სამართალი.

უძრავი ქონების ღირებულებითი მოცულობა და დიდ ქალაქებში მოსახლეთა ზრდა განაპირობებს მოთხოვნა-მიწოდების ზრდას ამ ან/და ახალ უძრავ ქონებასთან მიმართებით; ასევე, გარკვეულ შენობა-ნაგებობებზე ექსპლუატაციის ვადის გასვლა უკავშირდება ამ შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციას ან/და დემონტაჟს და ახალი შენობა-ნაგებობების აშენების აუცილებლობას.

ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს (საცხოვრებელი ბინა/სახლი/სამსახური), გადაადგილების საშუალებათა და სხვა გარემოს შექმნისათვის აუცილებელია მიზანმიმართული, სპეციალური პოლიტიკის გატარება/განხორციელება, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ადამიანთა ჯანმრთელობა და ცხოვრების ხარისხი.

საქართველოში ამ დრომდე შესაბამის დონეზე არ ხორციელდება სამშენებლო მასალების კომპლექსური შემოწმება, რაც გულისხმობს სამშენებლო მასალებზე თანამედროვე სტანდარტების შემოღება-

გავრცელებას; ასევე, არ მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების შემოწმება რადონის შემცველობაზე, რაც სავალალო შედეგს უქადის საქართველოში მცხოვრებთ. ადამიანზე რადიაციული ზეგავლენის უმეტესი წილი სამედიცინო გამოკვლევებთან არის დაკავშირებული (სპეციალური პროცედურები, რომლებიც ხორციელდება შესაბამისი დასახლებით), ასევე, ადამიანზე რადიაციულ ზეგავლენას უკავშირდება ის გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, ვმუშაობთ, ვისვენებთ (შენობები). აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მეტად მნიშვნელოვანია ჰაერში, სასმელ წყალსა და საკვებში ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერებების არსებობის საკითხი. მაგალითად, დღესდღეობით საქართველოში არავინ აკონტროლებს აზბესტის¹ შემცველობას სამშენებლო მასალებში, ჰაერში, სასმელ წყალში, იმ პირობებშიც კი, როდესაც აზბესტი მიჩნეულია ონკოლოგიურ დაავადებათა გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად. 1970-იან წლებში იგი ფართოდ გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირში, როგორც სამშენებლო მასალა (აზბესტის ფილები, მილები, შიფერი და მრავალი სხვა. მათ შორის აზბესტის გამოყენება ცემენტის შემადგენლობაში). 1985 წლიდან² ქვეყნებმა დაიწყეს აზბესტის ამოღება სამშენებლო მასალებიდან, ვინაიდან მის გამოყენებასთან დაკავშირებული იყო მთელი რიგი საკითხები, რომლებიც უკავშირდებოდა ადამიანთა ჯანმრთელობას და მძიმე (მათ შორის ონკოლოგიურ) დაავადებათა განვითარების რისკს.³

1 Asbestos Exposure and Cancer Risk. 2016. National Cancer Institute. Retrieved 20 May 2016, from <http://www.cancer.gov/about-cancer/causes-prevention/risk/substances/asbestos/asbestos-fact-sheet>

2 Mesothelioma Blog: Asbestos could be a concern in homes built as recently as 1985 | myMeso. 2016. Mymeso.org. Retrieved 20 May 2016, from <http://www.mymeso.org/2013/09/09/asbestos-could-be-a-concern-in-homes-built-as-recently-as-1985/>

3 Asbestos in and around your home | Asbestos Awareness. 2016. Asbestos.act.gov.au. Retrieved 20 May 2016, from <http://www.asbestos.act.gov.au/page/view/2417>

არანაკლებ მნიშვნელოვანია რადონის⁴ დონის კონტროლი, რაც, ასევე, დღევანდელ საქართველოში კომპლექსურად არ ხორციელდება და მოქალაქეებს არ აქვთ ინფორმაცია იმ რადიაციული ფონისა თუ დასახლების შესახებ, რომელსაც ყოველდღე ხვდებიან საცხოვრებელ თუ სამუშაო ადგილზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მცხოვრებთ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მიხედვით აქვთ უფლება, ცხოვრობდნენ ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში და, ასევე, მათ უფლება აქვთ, მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ, მთელ რიგ პრობლემებს ვაწყდებით ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან რეალურად ვერ ხორციელდება კონსტიტუციით მინიჭებული ეს უფლება.

ეს პრობლემა ეხება საქართველოში მცხოვრებ მოსახლეობას ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში- ქალაქად იქნება ეს თუ სოფლად. არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში არ ხორციელდება საცხოვრებელი/სამუშაო შენობების შესაბამისი კონტროლი, პერიოდული და პერმანენტული კვლევა, საშენი მასალების შეუმოწმებლობა კი საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოება ნიშნავს დღევანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობის დაცვას და იმ საშიშროების მინიმუმამდე დაყვანას, რომელიც ემუქრება მათს სიცოცხლეს მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებით.

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის

შესახებ“ კანონის 22-ე მუხლში ვხვდებით ჩანაწერს: საზოგადოების ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სამინისტრო ადგენს ადამიანის ჯანმრთელობისთვის გარემოს ხარისხობრივ ნორმებს.⁵ ამავე კანონით განსაზღვრულია საზოგადოების ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო წყლის მიწოდების უზრუნველყოფის საკითხები, ქიმიური, ტექნოლოგიური პროცესებისა და პროდუქციის უსაფრთხოების საკითხები. აქვეა ცალკე სამართალმდგომარეობანი ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ. მრავალი დეკლარაციული ხასიათის სამართალმდგომარეობის ფონზე რეალურად აშკარაა მთელი რიგი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები. კერძოდ, სამშენებლო მასალებისათვის აუცილებელი ნედლი მასალის მოპოვებისას კარიერი, საიდანაც საშენ მასალას მოიპოვებენ, არ კონტროლდება; შენობა შეიძლება აშენდეს მასალით, რომელიც დიდი რაოდენობის რადიუმს შეიცავს, რომლის დაშლის შედეგად წარმოიქმნება რადონი.

ბოლო წლებში მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია რადონის საკითხი. რადონი განუწყვეტლივ წარმოიქმნება იმ ნივთიერებებში, რომლებიც შეიცავს რადიუმს. იგი ინერტული გაზია, ადვილად გამოდის ასეთი მყარი ნივთიერებებიდან და გროვდება ჰაერში. სუნთქვის პროცესში რადონი და მისი დაშლის შედეგად მიღებული რადიოაქტიური ელემენტები (218Po, 214 Po, 214 Pb, 214Bi) თავისი ძლიერი გამოსხივებით აზიანებენ ფილტვების კედლებს, რაც ონკოლოგიური წარმონაქმნების განვითარების წინაპირობაა.⁶ რადონი ადვილად შეერევა სის-

4 რადონი - რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი, აირი, რადიუმის დაშლის პროდუქტია. ფართოდ არის გამოყენებული სამედიცინო პრაქტიკაში. მეორე მხრივ, მისი დასხივება ადამიანისათვის ძალზე სახიფათოა. კერძოდ, მას გააჩნია კანცეროგენური თვისებები, დამატებით: გოგიჩაძე გ., კანდელაკი თ., გოგიჩაძე თ., 2011. ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებები. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი. ტექსტი ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია აქ: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=12&t=7195>

5 კანონის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ. 2007. სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე". Retrieved 21 May 2016, from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784>

6 გიორგაძე, ნ., 2016. მაიონებელი გამოსხივება, თვისებები და მისი ბიოლოგიური ზემოქმედება ცოცხალ ორგანიზმებზე. Retrieved 21 May 2016, from <http://conference.sens-2014.tsu.ge/uploads/53b12f642013e%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1>

ხლის კომპონენტებს. ამდენად, მისი კონცენტრაცია სისხლში ძალიან სწრაფად მატულობს, შემდგომში სისხლს იგი გადააქვს მთელ ორგანიზმში და საშიში რაოდენობით გროვდება სხვადასხვა ორგანოში.

რადიაციულ ფონთან მიმართებით აუცილებელია სისტემატურად ხორციელდებოდეს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი სკრინინგები. აუცილებელია არებული მდგომარეობის შესწავლა შენობებში, რათა დადგინდეს, აღემატება თუ არა რადონის კონცენტრაცია დასაშვებ ნორმას. ამისათვის საჭიროა რადონის დონის დამდგენი (გასასინჯი) აპარატი. რადონის დონის დასადგენად გამოიყენება რამდენიმე გზა, რომლებიც საქართველოში არაა დანერგილი, მიუხედავად მისი სიმარტივისა.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ შესაძლებელია გარემოს ტესტირება მოქალაქემ თვითონ განახორციელოს სპეციალური ტესტების ნაკრებით. პრობლემის სისტემური გადაწვეტისათვის აუცილებელია, სახელმწიფო უზრუნველყოფდეს და თვითონ ახორციელებდეს ამ შემოწმებას. ყველაზე რელევანტურ უწყებად ამ შემთხვევაში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გვევლინება. აუცილებელია მოსახლეობაში სისტემური და გეგმაზომიერი საინფორმაციო კამპანიის წარმართვა.

კანზასში 2008 წლის საკანონმდებლო სხდომაზე მიიღეს კანონი, რომელიც გამყიდველისაგან მოითხოვს, რომ მყიდველს მიაწოდოს ინფორმაცია გასაყიდ საცხოვრებელ სახლში რადონის დონის შესახებ. ეს კანონი ძალაში შევიდა 2009 წლის 1 ივლისს. ამის შემდეგ უძრავი ნივთის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი შეიცავს საცხოვრებელ სახლში რადონის

შემცველობის შესახებ ინფორმაციას.⁷

ასევე, მშენებლობისას მნიშვნელოვანია რკინის კონსტრუქციების საკითხი. ასე მაგალითად, შენობების ასაშენებლად აუცილებელია არმატურების გამოყენება, რომლებიც 2006 წლამდე დიდი ოდენობით შემოდიოდა საქართველოში ყოველგვარი შესაბამისი კონტროლის გარეშე (შემოწმება რადიაციულ დონებზე). ჩვენს სახელმწიფოს არ ჰქონდა 2006 წლამდე შესაბამისი კონტროლი საბაჟოზე. ასევე, აუცილებელია საბაჟოზე არსებული დანადგარების მუდმივი სრულყოფა და განახლება.

1992 წელს ატომური ენერჯის საბჭომ ტაივანის მოსახლეობისაგან (AEC) მიიღო დავალება, რომ შემოწმებულიყო მათი სახლები. AEC-ის ინიციატივით ადამიანთა უფლებების დასაცავად გამოიკვლიეს ორმოცი ათასი შენობა. სახლების შესამოწმებლად იყენებდნენ თერმული დასხივების დოზიმეტრიულ საზომს. დადგინდა, რომ ამ სახლების ძირითადი დაბინძურების მიზეზი იყო რადიაციულად დაბინძურებული არმატურა. AEC-მ შეიმუშავა გეგმა, რომელმაც შეამცირა რადიაციულად დაბინძურებული არმატურა. ეს გულისხმობდა რკინეულობაზე დაკვირვებას სპეციალური აპარატებით; ასევე, გამკაცრდა კონტროლი იმპორტირებულ საქონელსა და შიდა მწარმოებელ საწარმოებზე. ეს კონტროლი ძირითადად მიმდინარეობდა სერთიფიცირებით, ანუ ყველა მასალას უნდა ჰქონოდა თავისი სერთიფიკატი, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას მასალის რადიაციული დაბინძურების შესახებ. ქარხნებს ამარაგებდნენ რადიაციის აღმომჩენი/საზომი დეტექტორებით.

ამასთან ერთად, AEC-მ საბაჟო ოფისებში დააყენა კომპიუტერები, რომლებიც დაკავშირებულია იმპორტ-ექსპორტის კომპანიებთან. ამით კონტროლდება, რა

%83%98a_%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D
%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A
B%E1%83%94.pdf შეადარე: კავილაძე, მ., 2002. რა
არის რადიაცია და როგორ გარემოში ვცხოვრობთ,
გამომცემლობა ნეკერი, თბილისი

7 Kansas Department of Health and Environment: Ra-
diation - Kansas Radon. 2016. Kdheks.gov. Retrieved
23 May 2016, from [http://www.kdheks.gov/radiation/
radon.htm#laws](http://www.kdheks.gov/radiation/radon.htm#laws)

მასალა შემოდის და გადის საბაჟოზე. AEC საქონლის ინსპექციის ბიუროსთან (CIB) 1993 წლის 1 ოქტომბრიდან დაწესდა რადიაციული დონის შემოწმება იმპორტის დროს. განხორციელებულმა ღონისძიებებმა გამოიღო შედეგი: 1999 წლის დეკემბერში ტაივანში შემოიტანეს 203,335.535 ტონა იმპორტირებული არმატურა, სადაც არ იყო არანაირი დაღვევა.⁸

ასევე, საინტერესოა ჩეხეთის მაგალითი, თუ როგორ მოგვარდა ეს პრობლემა ჩეხეთში. ჩეხეთის მთავრობამ მიიღო ე.წ. ატომური აქტი ნ-18/1997 და ბრძანებულება 307/2002⁹: სამშენებლო მასალების მწარმოებლები და იმპორტიორები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ბუნებრივი რადიონუკლიდების სისტემური გაზომვა სამშენებლო მასალებში და წარადგინონ ეს მასალები სახელმწიფო კანცელარიაში, ბირთვული უსაფრთხოების სამსახურში. ეს უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფომ მიიღოს თითქმის სრული მონაცემები სამშენებლო მასალების რადიაციულ დაბინძურებაზე. ეს მონაცემები საბოლოოდ ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში გროვდება და მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ, შეიტყონ ინფორმაცია ჩეხეთის ბაზარზე განთავსებულ სამშენებლო მასალებზე.¹⁰

რადონის დონის გამსინჯავ დეტექტორებთან ერთად აუცილებელია იმ ადამიანთა მომზადება/გადამზადება, რომლებიც იმუშავებენ რადიაციის საბომ დეტექტორებთან. ამისათვის აუცილებელია სპეციალური სასწავლო საგნების/მოდულების შემუშავება/დანერგვა, სასწავლო პროგრამის შექმნა.

მაგალითად, 1993 წლის ივნისში ტაივანში ატომური ენერჯის საბჭოს (AEC)

ინიციატივით დაიწყო სასწავლო პროგრამა. კვალიფიციური მუშაკები ასწავლიდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მშენებლებს. 1995 წლისათვის ეს სწავლება გაიარა დაახლოებით 4000-მა ადამიანმა, რომლებიც უკვე კვალიფიციურად შეუდგნენ სამუშაოს.¹¹

როდესაც კერძო კომპანიები დაინტერესდებიან ამ საკითხით, ჩვენ დავდგებით პრობლემის წინაშე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მათი კონტროლი. ამისათვის საუკეთესო საშუალებაა სერთიფიცირება ან/და ლიცენზირება, რომელიც უნდა განახორციელოს შესაბამისმა სახელმწიფო უწყებამ. სერთიფიკატის/ლიცენზიის მქონე პირს შეეძლება, რომ განახორციელოს რადიაციული დონის შემამოწმებელი მოქმედებები. ამისთვის აუცილებელი უნდა იყოს, რომ პირს გააჩნდეს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, წარმატებით ჩაბარებული/გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი სასწავლო თეორიული კურსი და დააკმაყოფილოს ლიცენზიის მიღებისათვის დაწესებული სხვა მოთხოვნები.

საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივი საკითხების განხილვისას კონსტიტუციის შემდეგ უნდა ვახსენოთ საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ, რომლის ერთ-ერთი მიზანია ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. აღნიშნული კანონი ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირზე და მისი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეების თავიდან არიდების მიზნით. ხსენებული კანონის მეხუთე მუხლის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ადამიანი ვალდებულია, არ განახორციელოს ისეთი

8 Huo-Wang H., 1999. Preventive Measures for Radioactive Contamination in Iron and Steel. Taiwan, Republic of China.

9 REGULATION No. 307/2002 Coll. of the State Office for Nuclear Safety of 13 June 2002 on Radiation Protection. (2002 1st ed.). Retrieved from https://www.sujb.cz/fileadmin/sujb/docs/legislativa/vyhlasaky/R307_02.pdf

10 Hůlka J., Vlček J., Thomas J., 2008. LEGISLATION, N. R.-C. National Radiation Protection Institute, Praha.

11 Huo-Wang H., 1999. Preventive Measures for Radioactive Contamination in Iron and Steel. Taiwan, Republic of China.

საქმიანობა, რომელიც შექმნის გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების საფრთხეს. ამავე მუხლის გ) ქვეპუნქტი კი ავალდებულებს ასეთ პირს, შეწყვიტოს ისეთი საქმიანობა, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ჯანმრთელობას. რაც შეეხება საქართველოში არსებულ საწარმოებს, ყველა საწარმო ვალდებულია, დაიცვას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა. აღსანიშნავია, რომ გარდა ჩანაწერისა, რომელშიც ვკითხულობთ: „ამ მუხლის მოთხოვნათა შეუსრულებლობა ისტება საქართველოს კანონმდებლობით“, პასუხისმგებლობაზე სხვა ჩანაწერი ამ კუთხით არ გვხვდება, რაც, ვფიქრობთ, კანონს არასრულყოფილს ხდის, რადგან ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია, საქართველოს კანონმდებლობიდან რომელი სამართლებრივი აქტი განსაზღვრავს ასეთ საკითხზე პასუხისმგებლობას.

განსახილველი კანონის მიხედვით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტრო ადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ხარისხობრივ ნორმებს (ატმოსფერული ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება), რომლებიც მოიცავს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებისა და მავნე ზემოქმედების ნორმებს. თუმცა, საკმაოდ ბუნდოვანია კანონის 22-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გარემოს ხარისხობრივი ნორმების დაცვის კონტროლს ახორციელებს შესაბამისი კომპეტენტური ორგანო. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელია კომპეტენტური ორგანო, კანონში მითითებული არ არის.¹²

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ

აკრძალულია რადიაქტიური ნივთიერებებისა და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების მოპოვება, მიღება და დამზადება, წარმოება, ბრუნვა, მისი რაიმე სახით გამოყენება სპეციალური უფლებამოსილების გარეშე. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან, შეაჩერონ ასეთი ნივთის გამოყენება, თუ ირღვევა რადიაციული ნორმები და საფრთხე ექმნება ადამიანის ჯანმრთელობას. ესე იგი, ჩვენს შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ სამშენებლო მასალები შეიცავს გარკვეულ საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ყველა ვალდებულია, შეაჩეროს მისი საქმიანობა, ანუ აღარ შემოიტანოს ასეთი საქონელი საქართველოში, აღარ გაყიდოს და აღარ ააშენოს ამ ნივთებით (მათ შორის შემადგენელი ნაწილებით) შენობა-ნაგებობანი. ხოლო რაც შეეხება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, იგი რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით.

საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის 20 მარტს მიიღო კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ.¹³ ამ კანონის ამოცანაა, უზრუნველყოს საქართველოს ტერიტორიაზე ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის გზით. თუმცა მოცემულ კანონში საუბარია იმ საწარმოებზე, რომლებიც უშუალოდ რადიოაქტიურ მასალებსა და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროებთან დაკავშირებული საქმიანობითა და რადიაციული დასხივების გამომწვევი ნებისმიერი სხვა საქმიანობით არიან დაკავებული. შესაბამისად, აღნიშნული კანონი ჩვენს თემას ნაკლებად ეხება.

საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ შეიცავს ბაზარზე

12 საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ. 2007. სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე". Retrieved 23 May 2016, from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784>

13 საქართველოს კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ. 2012. სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე". Retrieved 23 May 2016, from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1618592>

საქონლის განთავსების წესებსა და უსაფრთხოებისათვის საჭირო ნორმებს. ამ კანონის მიზანია უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსება, ასევე, ადმიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა. ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კანონი ავალდებულებს მწარმოებელსა და დისტრიბუტორს, მიაწოდოს მომხმარებელს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ.¹⁴ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თუ გამყიდველი არ მიაწვდის სწორ ინფორმაციას სამშენებლო მასალებთან დაკავშირებით (რადონის შემცველობის შესახებ), რეალურად არ არსებობს ორგანო, რომელიც შეამოწმებს ამ პროდუქციას.

დასკვნა

მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოებანიშნავს დღევანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობის დაცვას და იმ საშიშროების მინიმუმამდე დაყვანას, რომელიც ემუქრება მათს ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედების შედეგად. საშენი მასალების შეუმოწმებლობა საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივ სივრცეში არსებობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება -- „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების დამტკიცების შესახებ“. სამწუხაროდ, არ არსებობს მაკონტროლებელი ორგანო,

რომელიც შეამოწმებს საშენ მასალებს და, ასევე, საცხოვრებელ სახლებში რადიაციის დონეს. არ არსებობს მოთხოვნა-მიწოდება გარემოს დაბინძურების შესწავლა-გაზომვასთან დაკავშირებით, რაც, ერთი მხრივ, უკავშირდება მოსახლეობის ინერტულობას განსახილველ საკითხთან მიმართებით, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება ინფორმაციულ ვაკუუმს, (მოსახლეობის არაინფორმირებულობა, მომავალზე ფიქრის არაპრიორიტეტულობა, (ჯანმრთელობის დაცვისა და მოსალოდნელ არასასურველ შედეგთა პრევენციის თვალსაზრისით), ხოლო, მეორე მხრივ, ეფუძნება კერძო კომპანიების პრაქტიკულად ნულოვან რაოდენობას შესაბამისი მომსახურებით.

ვფიქრობთ, საკანონმდებლო რეგულირების სრულყოფასთან ერთად თვით მოსახლეობამ/საზოგადოებამ უნდა დაინიშნოს (სულ მცირე) საცხოვრებელსა და სამუშაო გარემოში რადიაციისა და რადონის დონის შემოწმება.

მომავალში შესაძლებელია, მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციები კერძო სექტორმა შეითავსოს. ასეთი სიტუაცია კი მომგებიანი იქნება როგორც მომხმარებლისათვის, ისე კერძო კომპანიისათვის. მაგალითისთვის, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა საცხოვრებელი ბინის გაყიდვისას გამყიდველს ავალდებულებს, მყიდველს მიაწოდოს სრული ინფორმაცია საცხოვრებელ სახლში რადონის ჰაერში კონცენტრაციის შესახებ. თუ ასეთი ჩანაწერი გაჩნდება ჩვენს კანონმდებლობაში, შესაძლოა, კერძო კომპანიებმა განახორციელონ საცხოვრებელი ბინების (უძრავი ქონების - მთლიანობაში) შემოწმება და წერილობითი დასკვნების წარმოდგენა ჰაერში რადონის კონცენტრაციის შესახებ.

14 საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი. 2016. სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე". Retrieved 23 May 2012, from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419>

ბ. ბ. თუმანიშვილი, ბ. ჭიჭინაძე

ON MECHANISMS FOR CONTROLLING HAZARDOUS CONSTRUCTION MATERIALS AND BUILDINGS

George G. Tumanishvili

*Ph.D, Professor,
Masaryk University (Czech Republic),
Ilia State University (Georgia),
Member of the Union of Law Scientists*

Giorgi Chichinadze

LLM

KEY WORDS: environment, radon, asbestos

RESUME

In big cities of post-Soviet countries, population growth is linked to “more opportunities” for employment and self-realization at first glance, which at the same time results in the growing demand on real estate. The demand is met by new constructions performed at minimum cost in the environment of market economy and minimum state control. However, this often leads to the utilization of low-quality construction materials that sometimes pose threat to the human life or health.

This study addresses problematic issue(s) related to the research of legislative environment and mechanisms in Georgia, in connection to the control mechanisms regarding the hazardous construction materials and buildings.

NOTES:

1. Asbestos Exposure and Cancer Risk. 2016. National Cancer Institute. Retrieved 20 May 2016, from <http://www.cancer.gov/about-cancer/causes-prevention/risk/substances/asbestos/asbestos-fact-sheet> (In English);
2. Mesothelioma Blog: Asbestos could be a concern in homes built as recently as 1985 | myMeso. 2016. Mymeso.org. Retrieved 20 May 2016, from <http://www.mymeso.org/2013/09/09/asbestos-could-be-a-concern-in-homes-built-as-recently-as-1985> (In English);
3. Asbestos in and around your home | Asbestos Awareness. 2016. Asbestos.act.gov.au. Retrieved 20 May 2016, from <http://www.asbestos.act.gov.au/page/view/2417>, (In English);
4. Radon is a chemical element with symbol Rn and atomic number 86. It is a radioactive, colorless, odorless, tasteless noble gas, occurring naturally as a decay product of radium. In addition: Gogichadze Kandelaki h., Gogichadze h., 2011. The biological and medical terms and concepts. Meridian Publishing, Tbilisi. The text in electronic form is available here: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=12&t=7195> (In Georgian);
5. The text of Law is available here: Law of Georgia on Public Health, 2007. Legislative Herald of Georgia, Retrieved 21 May 2016, from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784> (In Georgian);
6. Giorgadze, N., 2016. Ionizing radiation, biological settings and its influence on Biological organisms Retrieved 21 May 2016, from http://conference.sens-2014.tsu.ge/uploads/53b12f642013e%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98a_%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94.pdf Compare: Kaviladze, M., What is radiation and what kind of environment do we live in, 2002, Publisher: Nekeri, Tbilisi. (In Georgian);
7. Kansas Department of Health and Environment: Radiation - Kansas Radon. 2016. Kdheks.gov. Retrieved 23 May 2016, from <http://www.kdheks.gov/radiation/radon.htm#laws> (In English);
8. Huo-Wang H., 1999. Preventive Measures for Radioactive Contamination in Iron and Steel. Taiwan, Republic of China. (In English);
9. REGULATION No. 307/2002 Coll. of the State Office for Nuclear Safety of 13 June 2002 on Radiation Protection. (2002 1st ed.). Retrieved from https://www.sujb.cz/fileadmin/sujb/docs/legislativa/vyhlasiky/R307_02.pdf (In English);
10. Hůlka J., Vlček J., Thomas J., 2008. LEGISLATION, N. R.-C. National Radiation Protection Institute, Praha. (In English);
11. Huo-Wang H., 1999. Preventive Measures for Radioactive Contamination in Iron and Steel. Taiwan, Republic of China. (In English);
12. Law of Georgia on Public Health, 2007. Legislative Herald of Georgia, Retrieved 21 May 2016, from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784>. (In Georgian)
13. Law of Georgia on Nuclear and Radiation Safety, 2012, Legislative Herald of Georgia, Retrieved 21 May 2016, from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1618592> (In Georgian);
14. Law of Georgia - Product Safety and Free Movement Code, 2016. Herald of Georgia, Retrieved 21 May 2016, from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419>. (In Georgian)